საქართველოში სოფლის მეურნეობაზე უფრო დიდი გავლენის მქონე საპილოტე პროექტების შემუშავების მიზნით, წინასწარი სკრინინგის პირველი შეხვედრა ჩატარდა 2019 წლის 6 დეკემბერს. ტექნიკურმა კონსულტანტებმა წარმოუდგინეს პოტენციური საპილოტე პროექტები: AFD-ს (ქალბატონ სირარპი ჰაიკაზიანს) , სოფლის განვითარების სააგენტო -ს(ბატონ არჩილ ბუკიას და ბატონ კონსტანტინე ხუცაიძეს). შეხვედრას ასევე ესწრებოდა ბატონი მერაბ კაკულია საპარტნიორო ფონდიდან, საკუთარი მოსაზრებებისა და კომენტარების გამოსახატათ.

შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ მერსი ქორფს-ის ქვეყნის დირექტორი, ირაკლი კასრაშვილი, ასოციაცია სამხარეო განვითარება მომავალი საქართველოსთვის, ქვეყნის დირექტორი, ბ – ნი ვანო გრიგოლაშვილი და ფრანკფურტის ფინანსთა და მენეჯმენტის სკოლის დირექტორი ქალბატონი ჯანსუ კარატაი, ასევე რამდენიმე სხვა მონაწილე.

ქალბატონმა სირარპი ჰაიკაზიანმა გახსნა შეხვედრა შესავალი სიტყვით FinExCoop– ის საქმიანობასა და მიზნებზე, ასევე საპილოტე პროექტების არჩევის მეთოდზე.

FinExCoop Georgia- ს გუნდის ხელმძღვანელმა, ბატონმა კრისტოფ კორდონიერმა განაგრძო დისკუსია პროექტის სამი ძირითადი მიზნის ახსნით; რომლებიც წარმოადგენენ (i) მარკეტინგს იმის დასადგენად, თუ რისი განვითარება შეულიათ მცირე ფერმერებს და რაში შეულიათ იყვნენ კონკურენტუნარიანი. (ii) განვავითაროთ ცხოველთა საკვები ბაზა იმ ექსპერიმენტული ჯიშებით რომლებიც უკვე დარგული არის სოფელ არხილოსკალოში და გამოვიყენოთ ისეთი ტექნოლოგიები რომლებსაც იყენებენ ევროპის წამყვან ქვეყნებში, (iii) ცოველთა გენეტიკის გაუმჯობესება

გახსნის სიტყვის შემდეგ, პროექტის ჯგუფმა AFD- სა და სოფლის განვითარების სააგენტოს ხელმძღვანელებს წარუდგინა როგორ შეირჩა პოტენციური საპილოტე პროექტები. AFD და სოფლის განვითარების სააგენტომ შემდეგ მისცეს ხმა თითოეულ წინასწარ შერჩეულ პილოტს. შერჩეული საპილოტე პროექტები განხორციელდება 2020 წლიდან FinExCoop საქართველო- ს გუნდის ადგილობრივი და საერთაშორისო

ექსპერტების მონაწილეობით.